სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/43

ქ. თბილისი 02 05 2018 წ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით სტუ-ში 2018 წლის გაზაფხულზე ტესტირების ჩატარების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შეფასების ფორმის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 04 ოქტომბრის №870 ბრძანების, „2018 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები და დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 02 მაისის №412 ბრძანების, „2018 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 02 მაისის №413 ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2018 წლის გაზაფხულზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი 1);

2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ტესტირება ჩატარდეს 2018 წლის 3 მაისს, 11:00 საათიდან 14:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას №69, სტუ-ის X კორპუსი);
3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, გ. აბრამიშვილს;
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი 1

სტუ-ში 2018 წლის გაზაფხულზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. თამარ ცერცვაძე - სწავლების დეპარტამენტის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ კობერიძე - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. თამუნა მახარაშვილი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (კომისიის წევრი);
4. ზიზი სვანიძე - ,,სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი" პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. მანანა ჩუთლაშვილი - ,,სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი" პროგრამის მასწავლებელი (კომისიის წევრი).